ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №6

ქ. ახმეტა

17 თებერვალი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: თ. წითელაური, ი.უჯირაული, თ.ყეინიშვილი
რ.ბაღაკაშვილი, დ.მურთაზაშვილი,
გ.ქიტესაშვილი, თ.ბოდაველი,
ა.მექვევრიშვილი, მ.ალხანაშვილი

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თ.წითელაური/

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

3. ზემო და ქვემო ალვანის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის პეტიცია - „ალისგორი - წაროს მონაკვეთზე, მდინარე ალაზანზე (ე.წ. „გომეწრის ალაზანი") ხიდის აშენების შესახებ, გამგებლის ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს დამსწრე წევრებს: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული სამართლებრივი დასკვნის გათვალისწინებით, აღნიშნულ დადგენილებაში შევიდა ცვლილება.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს: რეგიონალური განვითარების ფონდიდან მიღებული რეკომენდაციის შედეგად, შეიცვალა მხოლოდ თანადაფინანსება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ზემო და ქვემო ალვანის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის პეტიცია - ,,ალისგორი - წაროს მონაკვეთზე, მდინარე ალაზანზე (ე.წ. ,,გომეწრის ალაზანი") ხიდის აშენების შესახებ, გამგებლის ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხსენებელმა წარმოადგინა გამგებლის ანგარიში პეტიციასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ხიდის აშენების საკითხი გათვალისწინებულია 2017 წლის ბიუჯეტში.

ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს გამგებლის ანგარიში პეტიციის შესახებ .

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა $11^{30}$ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: გელა ჯუგაშვილი